- დ) უნდა ჩატარდეს შემდეგი გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, შრატის შარდოვანა/ კრეატინინი, ედს, შრატში თირთქების დონის განსაზღვრა, შრატში ტყვიის დონის განსაზღვრა, განავლის ანალიზი პარაზიტებზე და ჭიას კვერცხებზე, ღვიძლის ფერმენტები (შრატის ბილიუბინი, ასპარტატამინო ტრანსფერაზა, ალანინამინოტრანსფერაზა) და ხელების და მაჯის რენტგენი ძვლოვანი ასაკის დასადგენად.

#### **პრობლემა №5**

##### **18 თვის ჩვილი ზედა სასუნთქი გზების ინფექციით**

18 თვის ჩვილი დედამ მოიყვანა თქვენთან. 2 დღის წინ მას განუვითარდა ზედა სასუნთქი გზების ინფექცია და უცბად ამ საღამოს დაეწყო უხეში, მყეფავი ხელი და გაუძნელდა სუნთქვა.

გასინჯვისას ბავშვი ანველებს. მისი სუნთქვის სიხშირეა 40 წუთში და გარგებელწილად, რესპირატორულ დისტრესში იმყოფება. სუნთქვითი ხმიანობა,

რომელიც გვეხმის მკერდის აუსკულტაციისას, როგორც ჩანს, გადმოეცემა ზედა სახუნთქი გზებიდან. აღინიშნება ცნობის ნებტოების თრთოლება და სუპრასტერნალური, ინფრასტერნალური და ინტერკოსტალური რეტრაქცია. ბავშვის ტემპერატურაა  $38,5^{\circ}\text{C}$ .

რომელი დიაგნოზია ყველაზე სავარაუდო ამ ბავშვისათვის?

- ა) გირუსული პნევმონია
- ბ) მწვავე ეპიგლოტიტი
- გ) ბრონქიოლიტი
- დ) კრუპი
- ე) ბაქტერიული პნევმონია

●

(დ)

ამ ბავშვს აქვს კრუპი. კრუპის დროს ბავშვს (კრუპის ყველაზე ხშირი ფორმაა მწვავე ლარინგოტრაქეობრონქიტი), ჩვეულებრივ, ეწყება ტიპური ზედა სახუნთქი გზების ინფექცია რამდენიმე დღით ადრე, შემდეგ კი ჩნდება მყეფავი ხველა, ინსპირაციული სტრიდორი და რესპირატორული დისტრესი. რადგან ინფექცია თანდათან გადაინაცვლებს ქვემოთ და აზიანებს ბრონქებსა და ბრონქიოლებს, რესპირატორული დარღვევები იზრდება, ამთხუნთქვა ძნელდება და ხანგრძლივდება.

ბავშვი ხშირად აგზებული, აღელვებული და შეშინებულია. ტემპერატურა შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს მომატებული ან  $39-40^{\circ}\text{C}$  —საც კი აღწევდეს.

გასინჯვით ხშირად აღინიშნება სუნთქვითი ხმიანობის შესუსტება ბილატერალურად, გაფანტული ხიხინი. სიმპტომები უარესდება ხოლმე დამით და ხშირად რამდენიმე დღე გრძელდება მზარდი ინტენსივობით. ბავშვი, ჩვეულებრივ, სერიოზულად აგად არ არის, ხშირად გამოხატულია რინიტი, კონიუნქტივიტი ან ორიგე ერთად. ზოგიერთ ბავშვს უვითარდება მწვავე სუპრასტერნალური, ინფრასტერნალური და ინტერკოსტალური რეტრაქცია მკვეთრ ქოშინთან ერთად.

რომელი ეტიოლოგიური ფაქტორია ბავშვის ამ მდგომარეობის გამომწვევი?

- ა) ადენოვირუსი
- ბ) პნევმოკოკი
- გ) პარაგრიპის გირუსი
- დ) ჰემოფილური გრიპის გირუსი (*Haemophilus influenzae*)
- ე) რესპირატორულ—სინციტიური გირუსი

●

(გ)

კრუპის შემთხვევათა უმეტესობა გამოწვეულია პარაგრიპის გირუსით.

ზემოთ აღწერილ მდგომარეობის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს რომელია არჩევის მკურნალობა?

- ა) ადრენალინი
- ბ) რიბაგირინი
- გ) ჰაერის დანოტივება
- დ) აეროზოლური სტერილიზაცია
- ე) ყველა ზემოაღნიშნული

●  
(დ)

სულ ცოტა ხნის წინ კრუპის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმების პირველი არჩევის მკურნალობა უბრალოდ წოტით ჰაერის მიწოდება იყო. ბოლოდორონინდელმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ შესაფრქვევი ბუდეზონიდი (საინჰალაციო სტერილი) ძალიან კარგ შედევებს იძლევა ბავშვებში კრუპის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს.

თქვენ იგივე ბავშვს 6 თვის შემდევ ნახულობთ. ახლა მას მწვავე რინორეა და ხველა აღენიშნება, რომელიც სტრიდორში, დისხნოესა და გაღიზიანებადობაში გადაეზარდა. გასინჯვისას, ბავშვის ტემპერატურა  $38^{\circ}\text{C}$ . იმის გაფანტული ხიხინი ფილტვის მთელ ზედაპირზე-ყველა წილში, სუნთქვის სიხშირეა 50 წუთში. აღენიშნება ცხვირის ნესტოების თრთოლვა და სუნთქვაში დამხმარე კუნთების ჩართვა, რაც იწვევს ინტერკოსტალურ და სუბკოსტალურ რეტრაქციას. შესუნთქვის ბოლოს და ამოსუნთქვის დასაწყისში გაფანტული, წვრილბუშტუკოვანი ხიხინი მოიხმანება. ამოსუნთქვის ფაზა გახანგრძლივებულია და ისმის სტრიდორი.

რომელი დიაგნოზია ყველაზე შესაფერისი ამ ბავშვისათვის?

- ა) გირუსული პნევმონია
- ბ) მწვავე ეპიგლოტიტი
- გ) ბრონქიოლიტი
- დ) კრუპი
- ე) ბაქტერიული პნევმონია

●  
4. გ.

ამ ბავშვს აქვს ბრონქიოლიტი. ამ დაავადების ნიშნები და სიმპტომები კარგად არის აღწერილი მოცემულ კლინიკურ სურათში.

რენტგენოლოგიური გამოკვლევით აღინიშნება ფილტვების ძლიერი გაფართოება და ლატერალურ ხედში გულმკერდის წინა-უკანა დიამეტრის გაზრდა. პაციენტების ერთ მესამედში აღინიშნება დაჩრდილვის გაფანტული კერები, რაც გამოწვეულია ობსტრუქციის შედეგად განვითარებული ატელექტაზით ან ალვეოლების ანთებით.

რომელი მკურნალობაა საჭირო ამჟამად ამ ბავშვისთვის?

- ა) დანოტივებული ჟანგბადი
- ბ) შესაფრქვევი ბრონქიოლატატორები
- გ) რიბავირინი
- დ) არც ერთი
- ე) ყველა

●  
5. გ.

ბრონქიოლიტის სამკურნალოდ ბავშვებსა და ჩვილებში წარმატებით გამოიყენება დანოტივებული ჟანგბადი.

**რიბავირინი** (ვირაზოლი), **ანტივირუსული** **აგენტი**, **ეფექტურია** **რესპირატორულ—სინციტიური** **ვირუსით** **გამოწვეული** **ბრონქიოლიტის** **შესამსუბუქებლად**, **თუ** **მკურნალობას** **დაავადების** **აღრეულ** **ეტაპზე** **დავიწყებთ**. **მისი** **გამოყენება** **ნაჩვენებია** **ბავშვებში** **2** **წლამდე**, **რომელთაც** **აქვთ** **ინფექციის** **მძიმე** **ფორმა**, **რაც** **დასტურდება** **ფლუორესცენტული** **ანტისეულებით**, **ან** **დათესვით**, **და** **რომელთა** **ჰისპიტალიზაცია** **გრძელდება** **3** **დღეზე** **მეტ** **სასს.** **ეს** **პრეპარატი** **უნდა** **მიეცეს** **იმ** **ავადმყოფებსაც**, **რომლებსაც** **რესპირატორულ—სინციტიური** **ვირუსით** **გამოწვეული** **ბრონქიოლიტის** **უფრო** **მხუჭექი** **ფორმები** **აქვთ**, **მაგრამ** **თან** **დართული** **აქვთ** **გულის** **მძიმე** **ქრონიკული** **დაავადება.**

**ბრონქიოლილატიაციური** **აეროზოლები** **ხშირად** **გამოიყენება** **ემპირიულად**. **ადრენალინს** **ან** **სხვა** **ალფა—ადრენერგული** **აგენტების** **გამოყენებისა** **თეორიული** **საფუძვლი** **არსებობს**, **მაგრამ** **პრაქტიკაში** **მათი** **გამოყენება** **სათანადოდ** **შესწავლილი** **არ** **არის.**

**ანტიბიოტიკებს** **არანაირი** **თერაპიული** **ეფექტი** **არ** **აქვთ**, **გარდა** **იმ** **შემთხვევისა**, **თუ** **ადგილი** **აქვს** **მეორად** **ბაქტერიული** **ინფექციას.**

**რომელი** **ეტიოლოგიური** **ფაქტორია** **ამ** **მდგომარეობის** **გამომწვევი?**

- ა) **ადენოვირუსი**
- ბ) **პნევმოკოკი**
- გ) **რინოვირუსი**
- დ) **ჰემოფილური** **გრიპის** **ვირუსი**
- ე) **რესპირატორულ—სინციტიური** **ვირუსი**



(გ)

**ყველაზე** **ხშირად** **ბრონქიოლიტის** **გამომწვევი** **მიზეზია** **რესპირატორულ—სინციტიური** **ვირუსი.** **სხვა** **გამომწვევები** **შეიცავენ** **პარაგრიპის** **სამ** **ვირუსს**, **მიკობლაზმას**, **ზოგიერთ** **ადენოვირუსს** **და** **იშვიათად** **სხვა** **ვირუსებს.** **ადენოვირუსით** **გამოწვეულმა** **ბრონქიოლიტმა** **შეიძლება** **გამოიწვიოს** **მოგვიანებითი** **გართულებები.**

7. 5 **წლის** **ბავშვი** **მოიყვანა** **თქვენთან** **დედამ.** **დედა** **ვიამბობთ**, **რომ** **გასული** **24** **საათის** **განმავლობაში** **ბავშვი** **უცნაურად** **ლაპარაკობდა** **და** **ადენიშნებოდა** **სალიფაცია.** **მადა** **არ** **ჰქონდა** **და** **წყალი** **არ** **დაუღვევია.** **ამ** **ანამნეზურ** **მონაცემებზე** **დაყრდნობით**, **რომელი** **დიაგნოზია** **უფრო** **შესაფერისი?**

- ვირუსული
- ბნევმონია
- მწვავე
- ეპიგლოტიტი
- გ) **ბრონქიოლიტი**
- დ) **კრუპი**
- ე) **ბაქტერიული** **პნევმონია**



(ბ)

8. **რომელი** **დიაგნოსტიკური** **პროცედურა** **უნდა** **ჩატარდეს**, **რათა** **დადასტურდეს** **მე—7** **კითხვაში** **აღწერილი** **პაციენტის** **დიაგნოზი?**

- ა) **ლეიკოციტების** **რაოდენობის** **განსაზღვრა**

- ბ) ედს
- გ) გულმკერდის რენტგენოგრაფია
- გ) კისრის ლატერალური რენტგენი
- ჰ) თავისა და კისრის კომპიუტერული ტომოგრაფია

●  
(დ)

9.რომელია მე—7 კითხვაში აღწერილ პაციენტისთვის პირველი არჩევის მკურნალობა?

- ა) ინტრავენული ამბიცილიინი
- ბ) ბერორალური ამბიცილიინი
- გ) ინტრავენული / ინტრამუსკულარული ცეფტრიაქსონი
- დ) ინტრავენული ციბროფლოქსაცინი
- ე) ბერორალური ციბროფლოქსაცინი

●

(გ)

10.რომელი ორგანიზმი იწვევს მე—7 კითხვაში აღწერილ მდგომარეობას?

- ა) ბარაგრიპის ვირუსი
- ბ) რესპირატორულ—სინციტიური ვირუსი
- გ) ჰემოფილური გრიპის ვირუსი (*Haemophilus influenzae*)
- დ) რინოვირუსი
- ე) ბნევმოკოკი

●

(გ)

პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ მწვავე ეპიგლოტიტიზე, ვიდრე სხვა დიაგნოზი არ დაღახტურდება.

მწვავე ეპიგლოტიტი, პოტენციურად ლეტალური მდგომარეობაა, ჩნდება 2—დან 7 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში და პიკს აღწევს 3 1/2 წლის ასაკში.

მწვავე ეპიგლოტიტი ხასიათდება ტემპერატურის უეცარი მკვეთრი მომატებით, ყელის ტკივილით, დისტნეოთ, სწრაფად პროგრესირებადი რესპირატორული ობსტრუქციით და დაუძლურებით. თუ აღეპგატური მკურნალობა არ ჩატარდება, რამდენიმე საათში ეპიგლოტიტმა შეიძლება ჰაერგამტარი გზების სრული ობსტრუქცია და სიკვდილი გამოიწვიოს.

პირველი სიმპტომია რესპირატორული დისტრესი. ბავშვი შეიძლება კარგად იყოს დაძინებისას, მაგრამ გვიან ღამით გამოიღვიძებს მაღალი სიცნით, აფონიით, სალიფაციით და საშუალო/მძიმე რესპირატორული დისტრესით სტრიდორთან ერთად. მოზრდილი ბავშვი ხშირად უჩივის ყელის ტკივილს.

მწვავე რესპირატორული დისტრესი შეიძლება განვითარდეს წამებში ან საათებში, ინსპირაციული სტრიდორით, ფოლადისებური ხველით, ხმის ჩახლებით, გაღიზიანებადობით და აგზნებადობით. ხშირია სალიფაცია და დისტნეო.

ფიზიკალური გასინჯვით ბავშვს აქვს საშუალოდან მძიმემდე რესპირატორული დისტრესი ექსპირაციული და ინსპირაციული სტრიდორით, ცნვირის ნესტოების

თოთლევა და ჩასუნთქვისას ნეკნთაშეა არეების, სუპრასტერნალური ფოსტს, ლაგიტეგეშა და სუპერსტალური არეების რეტრაქცია. ხახა ანთებადია, ხშირად არის ჭარბი ლორწო და ნერწყვი, რამაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს ხიხინი. დაავადების პროგრესირებასთან ერთად, სტრიდორი და სუნთქვითი ხმიანობები შეიძლება შემცირდეს ავადმყოფის დაღლის გამო. შეიძლება მცირე დროით განვითარდეს ჰაერის უქმარისობა, რომელიც გადადის ციანოზში, კომაში და სიკვდილში. სხვა შემთხვევაში შესაძლოა გვქონდეს მსუბუქად გამოხატული ხმის ჩახლეჩა და გადიდებული ალუბლისფერი მშზინაგი ხორხსარქველი. ბაგშვის ხახა არ უნდა გასინჯოთ შპალელით. დააგნოზი მოითხოვს ზუსტ გაზუალიზაციას ლარინგოსკოპის საშუალებით, რათა საჭიროების შემთხვევაში სწრაფადვე მოახდინონ ინტუბაცია.

დააგნოზის დასმა შეიძლება კისრის ლატერალური რენტგენოგრაფიითაც, რომელიც ნათლად გვიჩვენებს შესიებულ ხორხსარქველს.

**მწვავე ეპიგლოტიტის მკურნალობა შემდეგნაირია:**

- თუ ბაგშვის მდგომარეობა მძიმეა, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ხელოვნურად ჰაერის მიწოდება. არანამკურნალევ პაციენტებს აქვთ სიკვდილის რეალური შანსი, მაშინაც კი როდესაც ისნი საავადმყოფოში იმყოფებიან და ხელმისაწვდომია სათანადო საინტუბაციო აღჭურვილობა.
- ცეფტრიაქსონი (100 მგ/კგ/24სთ) ან ამპიცილინი (200მგ/კგ/24გ) პლუს ქლორამფენიკოლი (100 მგ/კგ/24სთ), სანამ დათესვის პასუხს მიგიღებთ ან თუ არსებობს ეჭვი, რომ დაავადება გამოწვეულია H. influenzae-ს ამპიცილინისადმი რეზისტრტული შტამებით.
- დამატებით უანგბადის მიწოდება: მწვავე ეპიგლოტიტის იწვევებს ჰემოფილური გრიპის გრიუსი. ბოლო ხანებში მოიმატა ამ გრიუსის რეზისტრტობამ ამპიცილინის მიმართ.

**11. ბაგშვებში სტრიდორთან დაკაგშირებით რომელი განცხადებაა სწორი?**

- კლინიკური მონაცემებით ხანდახან ძნელია განგასხვავოთ ერთმანეთისაგან ბრონქული ასთმა და ბრონქიოლიტი
- ბრონქიოლიტიანი ბაგშვები, რომლებსაც არა აქვთ ასთმა, შეიძლება შეცდომით „მივანიჭოთ“ ეს დიაგნოზი
- კავშირი ბრონქიოლიტსა და სასუნთქი გზების ჰიპერაქტივობას შორის გაუკეთებელია. ბრონქიოლიტის მწვავე ეპიზოდებმა შეიძლება ხელი შეეწყოს ბრონქიალური ჰიპერაქტივობის ან ასთმის პროგრესირებას
- არც ერთი ზემოთ მოცემული განცხადება სწორი არ არის
- კველა ზემოთ მოცემული სწორია

●

(j)

ყველა დებულება სწორია. კლინიკური სურათის მიხედვით, ხანდახან ძნელია განგასხვავოთ ერთმანეთისგან ბრონქული ასთმა და ბრონქიოლიტი. შესაძლებელია ასთმის არასწორი დიაგნოსტიკა და ბაგშვის შეცდომით უდგინდება ასთმა. კავშირი ბრონქიოლიტსა და ასთმას შორის საბოლოოდ ნათელი არ არის. ბრონქიოლიტიან ჩვილებს შეიძლება ჰქონდეთ გაზრდილი რისკი იმისა, რომ მოვგიანებით განუვითარდეთ ასთმა. ბრონქული ასთმა შეიძლება დაჩქარდეს ბრონქიოლიტის მწვავე ეპიზოდებით.

12. 6 წლის ბიჭი მოიყვანეს თქვენთან მწვავე ასთმური შეტევით. მას განუვითარდა ზედა სახუნთქი გზების ინფექცია 3 დღის წინ, ხოლო 24 საათის წინ სტრიდორი დაწყო. პირველი ასთმური შეტევა ბაგშვის 2 წლის წინ პქონდა და მას შემდეგ, ჩვეულებრივ, თვეში ერთი შეტევა აქვს. იგი არ იტარებს პროფილაქტიკურ მკურნალობას.

გასინჯვით აღენიშნება მძიმე რესპირატორული დისტრესი. სუნთქვის სისტემა წუთში 48. გამოხატულია სუნთქვაში დამხმარე კუნთების ჩართვა. ფილტვის პრევენციაზე ისმის გენერალიზებული სტრიდორი.

რომელია ამ პაციენტის პირველი არჩევის მკურნალობა ამ ეტაპზე?

- ა) ინტრავენურად ნატრიუმის ქრომოგლიკატი
- ბ) ინტრავენურად კორტიკოსტეროიდები
- გ) შესაფრქვევი ბეტა-აგონისტები იპრატროპიუმის ბრომიდთან ერთად ან მის გარეშე
- დ) დანოტივებული ჟანგბადი.
- ე) ბ და გ



(გ)

ამ ბაგშვის აქვს ასთმის შეტევით გამოწვეული მწვავე რესპირატორული დისტრესი. მას უნდა გუმკურნალოთ ინტრავენური კორტიკოსტეროიდებით და შესაფრქვევი ბეტა-აგონისტებით იპრატროპიუმის ბრომიდთან ერთად ან მის გარეშე. დოზული და აქტიური მკურნალობა თავიდან აგვაცილებს დაავადების დამძიმებას და სიკვდილს.

13. მე-12 კითხვაში აღწერილი პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა და თქვენ გადაწყვიტეთ პროფილაქტიკური თერაპიის დაწყება. რომელია I არჩევის მედიკამენტი პროფილაქტიკური მკურნალობისთვის?

- ა) საინპალაციო ბეტა-აგონისტები
- ბ) პერიოდური თეოფილინი
- გ) საინპალაციო კორტიკოსტეროიდები
- დ) სოდიუმის ქრომოგლიკატი
- ე) ორალური კორტიკოსტეროიდები



(გ)

ამჟამად ბრონქული ასთმის პროფილაქტიკისთვის პირველი არჩევის პრეპარატებია საინპალაციო კორტიკოსტეროიდები. ისინი გამოიყენება ერთხელ ან ორჯერ დღეში.

14. 12 წლის ბიჭი, რომელსაც აქვს ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული ასთმა მოდის თქვენთან გასასინჯად. მოსვენებულ მდგომარეობაში ბაგშვი თაგს გარგად გრძნობს, მაგრამ ენერგიული გარჯიშის დროს ან შემდეგ ეწყება ქოშინი და სტრიდორი.

რომელია ამ ბაგშვისათვის არჩევის პირველი რიგის მკურნალობა?

- ა) ნატრიუმის ქრომოგლიკატი
- ბ) საინპალაციო ბეტა-აგონისტები
- გ) პერიოდური თეოფილინი.
- დ) საინპალაციო კორტიკოსტეროიდები

## ე) პერორალური კორტიკოსტეროიდები.

(ა)

ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული ასთმა შეიძლება მანიფესტირდეს როგორც აღრეული, ისე მოგვიანებითი ბრონქოსპაზმით. ადერეული ბრონქოსპაზმი იწყება დატვირთვიდან 3-8 წუთის შემდეგ, ხოლო მოგვიანებითი 4-6 სთ-ის შემდეგ. საინჰალაციო ნატრიუმის ქრომოგლიკატი გამოიწვევს როგორც აღრეული, ისე მოგვიანებითი ბრონქოსპაზმის მოხსნას. საინჰალაციო ბეტა-აგონისტები მოხსნან მხოლოდ აღრეულ ბრონქოსპაზმს, კორტიკოსტეროიდები კი — მხოლოდ მოგვიანებითს.

### საპითი დისპესისათვის

ვანმარტეთ შემდეგი განცხადება: „ყველაფერი, რაც უსტვენს (ნინინებს), არ არის ასთმა“.

### მიმოხილვა

მნიშვნელოვანია გავგაცნობიეროთ, რომ ჩვილებსა და ბავშვებში განვითარებული სტრიდორი ასთმის გარდა სხვა მიზეზითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. მთუნედავად იმისა, რომ ასთმა სტრიდორის ყველაზე ხშირი მიზეზია, ის ერთადერთი არაა. მეორე ყველაზე ხშირი მიზეზია ბრონქიოლიტი. როგორც აღრე აღვნიშნეთ, კავშირი ბრონქიოლიტსა და ასთმის შორის გაურკვეველია. შესაძლოა, ბრონქიოლიტის მწვავე შეტევები, შემდგომში ასთმის განვითარების მიზეზი განხდეს.

გარდა ასთმისა და ბრონქიოლიტისა, სტრიდორის მიზეზი შეიძლება იყოს ჰაერგამტარი გზების ობსტრუქცია. ხშირად იგი გამოწვეულია უცხო სწერის მოხვედრით ტრაქეაში ან მის ერთ-ერთ განტოტებაში.

გამოთქმას „ყველაფერი, რაც უსტვენს, არ არის ასთმა ჩვენ შეგვიძლია დაგუმატოთ: ყველა ასთმა არ უსტვენს“. კერძოდ, ეს ეხება ასთმის ე.წ. ხელით ფორმას, რომლის დორსაც ძირითადი გამოვლინებაა ხველა. დადგენილია, რომ ასთმიან ბავშვთა 1/3-ს სწორედ ეს ვარიანტი აქვთ, რომელიც სამწუხაროდ, ხშირად ძნელი გამოსაცნობია.

### რეზიუმე

ჩვილებისა და ბავშვების ზოგიერთი ხშირი და სერიოზული რესპირატორული სინდრომების დაგნოსტიკირებისა და მკურნალობის ძირითადი გზები

#### 1. ყველაზე საგანგაშო სიმპტომები:

- ა. უხეში მყეფავი ხველა
- ბ. სტრიდორი და რესპირატორული დისტრესი
- გ. სალიგბაცია
- დ. სტრიდორი.

2. კრუპი: ყველაზე ხშირი ფორმაა მწვავე ლარინგოტრაქეობრონქიტი. უხეში, მყეფავე ხველა ჩვილებში კრუპის თითქმის პათოგნომური ნიშანია.  
გამომწვევი აგენტი: პარაგრიპის ვირუსი.  
მკურნალობა: ამჟამად კრუპის ეფექტური მკურნალობისათვის ნაჩვენებია საინჰალაციო კორტიკოსეროიდები საშუალო სიმძიმის შემთხვევის დროსაც კი.
3. ბრონქიოლიტი: ახასიათებს რესპირატორული დისტრესი, სტრიდორი, ხიხინი. ექსპირაციის ფაზა გახანგრძლივებულია. გამომწვევი აგენტი: რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი.  
მკურნალობა: დანოტივებული ჟანგბადი და რიბავირინი.
4. მწვავე ეპიფლოტიტი: სალიფაცია, ყელის ძლიერი ტკიფილი, სითხის გადაყლაპვის გამნელება (ეს ნიშანი შეიძლება საღიაგნოსტიკო ტესტიდ გამოვყენოთ). არ მიმართოთ ხორხსარქველის ვიზუალიზაციას, თუ არა ხართ მზად ინტუბაციისათვის.  
კისრის ლატერალური რენტგენოგრაფია დაგენერარებათ დიაგნოსტირებაში.  
გამომწვევი აგენტი: ჰემოფილური გრიპის ვირუსი.  
მკურნალობა: ინტრავენული/ინტრამუსკულარული ცეფტრიაქსონი.
5. ასთმა: სტრიდორის ყველაზე ხშირი მიზეზი ბავშვებსა და ჩვილებში.  
გამომწვევი აგენტი: ხშირად ოჯახურია; ხშირად დაკავშირებულია ზოგიერთ გარეგან ალერგენებთან.
- მკურნალობა:**
- მწვავე, მძიმე შემთხვევა: სტეროიდები ინტრავერალ, საინჰალაციო ბეტა-აგონისტები, ჟანგბადი.
  - სტაბილური მდგომარეობისას პროფილაქტიკისათვის: პირველ რიგში საინჰალაციო კორტიკოსტეროიდები. შეიძლება, აგრეთვე, საინჰალაციო ბეტა-აგონისტების ხმარება, მაგრამ ისინი აღარ ითვლებიან პირველი არჩევის პრეპარატებად.
  - ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული ასთმა: ნატრიუმის ქრომოგლიკატი.

## პრიბლემა №6

### 12 წლის გოგონა მორეციდივე ტკიფილით მუცლის არეში

მოუმართავთ 12 წლის გოგონა, რომელიც მუცლის არეში მორეციდივე ხასიათის ტკიფილს უჩივის. მუცლის ტკიფილის ეპიზოდი გოგონას კვირაში ერთხელ ან ორჯერ აღენიშნება. ეს დაახლოებით რვა საათს გრძელდება. გოგონას არაერთხელ მიუმართავს ექიმისათვის ამ მიზეზის გამო და ჩატარებული აქვს საკმაოდ ბევრი გამოკვლევა. კერძოდ, სისხლის საერთო ანალიზი, შარდის ანალიზი, განავალი ჭიის კვერცხებსა და პარაზიტებზე, მუცლის ღრუს ორგანოთა ექსოკენირება. გამოკვლევებით რამე ანომალია არ გამოვლენილა. გოგონა აღწერს, რომ ტკიფილი ყრუ და ძალიან შემაწუხებელია, ლოკალიზებულია ჭიის არეში. ტკიფილის ხარისხს პაციენტი აფასებს, როგორც 6/10, რომლის ინტენსივობა 8/10-მდე იზრდება და 4/10-მდე მცირდება. ტკიფილი არ არის დაკავშირებული საკვებთან და თან არ ახლავს დიარეა ან შეკრულობა.

ფიზიკალური ასინჯვით რამე ყურადსალები ნიშანი არ ვლინდება. სასიცოცხლო ფუნქციები ხორმის ფარვლებშია. მუცლის პალპაციით აღინიშნება ჭიის ირგვლივი

მიღამოს ზომიერი მტკიფნეულობა. არ არის გამოხატული პეპატოსპლენომეგალია და არც რაიმე მოცულობითი წარმონაქმნი.

### 1.რომელია ყველაზე მეტად სავარაუდო დიაგნოზი ამ შემთხვევაში?

- ა) მუცლის მორეციდივე ტკიფილის სინდრომი
- ბ) ლაქტოზის აუტანლობა
- გ) კრონის დაავადება
- დ) მეზენტერიული ლიმფადენიტი
- ე) ქრონიკული აპენდიციტი



(გ)

ყველაზე სავარაუდო დიაგნოზი ამ შემთხვევაში ბავშვთა ასაკში მუცლის მორეციდივე ტკიფილის სინდრომია. ეს სინდრომი არასპეციფიკური მიმდინარეობით ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ტკიფილის არაორგანულ ხასიათს. ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტკიფილი არ არის დაკავშირებული საკვების მიღებასთან ან სხეულის მდგომარეობის შეცვლასთან და თან არ ახლავს დიარეა ან შეკრულობა, გულისრევა, ღებინება და დიზუროული მოვლენება.

ბავშვებში მუცლის მორეციდივე ტკიფილი და მთზრდილებში გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი ხშირად ლაქტოზის აუტანლობაში ერეგათ. თუმცა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორივე ამ პათოლოგიის თანაარსებობას. ლაქტოზის აუტანლობას ხშირად თან ახლავს დიარეა.

კრონის დაავადება და მეზენტერიული ლიმფადენიტი, ჩვეულებრივ სისტემურ სიმპტომებთანაა ასოცირებული. სისტემური სიმპტომების არ არსებობა გამორიცხავს ამ დაავადებების არსებობას.

„ქრონიკული აპენდიციტი“, თუკი ასეთი არსებობს, ასოცირებულია ტკიფილთან, რომელიც მარჯვენა ქვედა კვადრანტში ლოკალიზადება, მას ხშირად თან ახლავს გულისრევა და ღებინება.

### 2.როგორია ბავშვებში მუცლის მორეციდივე ტკიფილის სინდრომით დაავადებიანობა (პრევალირება)?

- ა) 1%
- ბ) 5%
- გ) 10%
- დ) 20%
- ე) 25%



(გ)

ბავშვებში მუცლის მორეციდივე ტკიფილის სინდრომით დაავადებიანობა (პრევალირება) 10% -ია.

### 3. აღწერილი პრობლემის შემთხვევაში სკოლაში დასწრებასთან დაკავშირებით რომელი განცხადებებია მართებული?

- ა) არ არსებობს არავითარი კაგშირი სასკოლო დასწრებასა და მუცლის მორეციდივე ტკიფილს შორის
- ბ) „სკოლის ფობია“ (ბავშვს არ უნდა სკოლაში სიარული) შესაძლოა მუცლის მორეციდივე ტკიფილისათვის ეტიოლოგიური ფაქტორის როლს ასრულებდეს

- გ) ამ სინდრომით დააგადებული ბავშვები, ჩვეულებრივ, უკეთ სწავლობენ, ვიდრე მათი თანატოლები  
 დ) არ არსებობს არავითარი კაფშირი სკოლაში სტრესულ მოვლენებსა და ამ მდგომარეობას შორის  
 ე)არც ერთი ჩამოთვლილი არ არის მართებული

●

(ბ)

„სკოლის ფობია“, შესაძლოა, მუცლის მორეციდივე ტკიფილის სერიოზული ეტიოლოგიური ფაქტორი იყოს. დადგენილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ურთიერთკაფშირი სკოლაში სტრესულ მოვლენებსა და ამ სინდრომს შორის. მუცლის მორეციდივე ტკიფილით დააგადებული ბავშვები, როგორც წესი, უფრო ცუდად სწავლობენ, ვიდრე მათი ჯანმრთელი თანატოლები. ეს უბრალოდ ბევრი გაცდენითად გამოწვეული და არა ამ ბავშვების შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობებით. დადგენილია მნიშვნელოვანი ურთიერთკაფშირი სკოლაში სტრესულ მოვლენებსა და მდგომარეობის გამწვავებას შორის.

4. რა სახის გამოკვლევები უნდა ჩაუტარდეს გოგონას?

- ა)შარდის ანალიზი  
 ბ) სისხლის საერთო ანალიზი  
 გ) მუცლის ღრუს თრგანოთა ექოსკენირება  
 დ) არც ერთი ჩამოთვლილი

●

(დ) ამ ბავშვს უკვე ჩაუტარდა ეს გამოკვლევები, და ამდენად, ამ შემთხვევაში გაუმართლებელია მათი განმეორება, თუკი თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ანალი სიმპტომები ან ნიშნები, რომელიც ამ ეპიზოდს, ძნელი ეპიზოდებისაგან რამდენადმე განასხვავებს გამოხატული არ არის. ამ შემთხვევაში პრობლემის არაორგანული გენეზის გათვალისწინებით დიაგნოსტიკურ გამოკვლევებზე მეტად ექიმის ხელოვნება უნდა „ამოქმედდეს“. ძალიან მნიშვნელოვანია კლინიკური შეფასება.

5.ქვემთხოვთ ჩამოთვლილი მიკროორგანიზმებიდან რომელია ორგანული მიზეზით გამოწვეული მუცლის მორეციდივე ტკიფილის მიზეზი.

- ა) ენტეროტოქსიგენური *E.coli*  
 ბ) ენტეროპათოგენური *E.coli*  
 გ) *Giardia Lamblia*  
 დ) *Entamoeba histolytica*  
 ე) სალმონელა

●

(გ)

*Giardia Lamblia* ზოგჯერ ბავშვებში მუცლის მორეციდივე ტკიფილის მიზეზია. ამდენად ყველა ბავშვის, რომელსაც ასეთ ხასიათის ტკიფილი აღენიშნება უნდა ჩაუტარდეს განავლის ანალიზი ჭიას კბერცხებსა და პარაზიტებზე.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელთან არის ყველაზე მეტად ასოცირებულია ბაგშეგებში მუცლის მორეცილივე ტკიფილი?

- ა) ნეგროზული ანორექსია
- ბ) ბულემია
- გ) დიდი დეპრესია
- დ) შფოთვის გენერალიზებული მოშლილობა
- ე) პანიკური აშლილობა

●

(ა)

ნეგროზული ანორექსია მუცლის მორეცილივე ტკიფილთან ყველაზე ხშირად ასოცირებული პათოლოგია. სხვა დანარჩენი ჩამოთვლილი დარღვევები, შესძლოა წარმოდგენილი იყოს მუცლის მორეცილივე ტკიფილთან ერთად, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

7. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია შერჩევის მკურნალობა აღწერილი მდგომარეობისათვის?

- ა. კუნთოვანი რელაქსანტები
- ბ. ტრაციკლური ანტიდეპრესანტები
- გ. ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები
- დ. არასტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო მედიკამენტები
- ე. არც ერთი ჩამოთვლილი

●

(გ)

ფარმაკოლოგიურ მკურნალობას ამ დროს დადებითის ნაცვლად უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ფარმაკოლოგიური მკურნალობის დანიშვნის აუცილებლობა ტკიფილზე პაციენტის პასუხის შესაფერისად განისაზღვრება. კარგი იქნება, თუკი პრობლემის მართვაში აქტიურად ჩაერთვებიან ბაგშეგის მშობლები.

უძირველეს ყოვლისა, საჭიროა ბაგშვისა და მშობლების დამშვიდება და ახსა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ეს სიცოცხლისათვის საშიში პათოლოგია არ არის.

მეორეც, ექიმმა მშობლებსა და პაციენტს უნდა განუმარტოს, რომ ეს პრობლემა შესაძლოა საკმაოდ დიდხანს გავრძელდეს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა მოერიდოთ ანალგეზიური და სხვა მედიკამენტების დანიშვნას, რამაც შესაძლოა სარგებელზე მეტი ზიანი მოუტანოს ბაგშვები. სედატიური, ანტისპაზმური და ანალგეზიური საშუალებები არა მხოლოდ უსარვებლო, მაგნეც კია. ამ პრეპარატების ფონზე მოსალოდნელია ისეთი გვერდითი ეფექტები, როგორიცაა ნაწლავის მოტორიკისა და მაღის გაუარესება, ასევე მათზე დამოკიდებულების განვითარება.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა დადებითი შედეგი მიიღიოთ საფარისათვის საშუალების ან თენის ფონზე. კერძოდ, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი შეკრულობა და ამას თან ახლავს მუცლის მორეცილივე ტკიფილის სინდრომი მიზანშეწონილია მინერალური ზეთის ან ლაქტულოზას გამოყენება, თენისთან ერთად ან მის გარეშე.

ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი გამაჯანსაღებელი დონისძიებები. რეკომენდებულია კარგად ბალანსირებული დიეტი, დიდი რაოდენობით ბოჭკოვანი საკვების შემცველობის გარეშე.

ყველაზე მნიშვნელოვანი სასკოლო გაცდენების შემცირება. სხვამხრივ ჯანმრთელ ბაგშეგებში, ზემოაღწერილი სინდრომის შემთხვევაში ერთგვარი მანკიერი წრე ყალბდება. მჭიდროდ უძაგშირდება ერთმანეთს ემთციური დატვირთვა, სკოლის გაცდენა და მუცლის ტკიფილი. სტრესორის იდენტიფიცირება და ამ მანკიერი წრის დარღვევა, მუცლის მორეცილივე ტკიფილის მართვისათვის პირველი უმნიშვნელოვანები ნაბიჯია.

პროგნოზი ამ პათოლოგიის დროს ცნობილი არ არის. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – ეს სინდრომი არანაირად არ უკავშირდება მომავალში მუცელის ღრუს ორგანოთა რაიმე დაგადების აღმოცენებას, და, უმრავლეს შემთხვევებში, 20 წლის ასაკამდე მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აქვს ადგილი. თუმცა, ზოგიერთ პაციენტს, ბავშვობაში მუცელის მორეციდივე ტკიფილით, მოზრდილ ასაკში გაღინიანებული ნაწლავის სინდრომი უგვითარდება.

### საპილი ღისტურისათვის

დედის თანხლებით 11 წლის ბიჭი მოგმართავთ, რომელსაც მუცელის მორეციდივე ტკიფილის სამი წლის ანამნეზი აღენიშნება. ბიჭი, თქვენამდე ექვნის სხვადასხვა ექიმის მიერ იყო კონსულტირებული და უამრავი გამოკვლევა ჩაუტარდა. ბავშვს დანიშნული ჰქონდა სხვადასხვა მედიკამენტი, თუმცა მისი მდგომარეობის გაუმჯობესება გერ მოხერხდა. დედა კატეგორიული ტონით გთხოვთ, რომ „ბოლოს და ბოლოს გამოავლინოთ ბავშვის ავადმყოფობის მიზეზი და ბოლო მოუღოთ ამას.“ როგორ მოიცემით? რა პასუხს გასცემთ დედის?

### მიმოსილება

ეს ძალიან ხშირი პრობლემაა. როგორც ჩანს, ექსვიდან არც ერთმა ექიმმა არ დაუთმო დრო პაციენტიან და მის დედასთან საუბარსა და ახსნა–განმარტებას დაავადების ბუნების შესახებ. ყველაზე საუკეთესო გამოხავალი ამ დროს, დედასა და ბავშვთან მუცელის მორეციდივე ტკიფილის მიმღინარეობის თავისებურებების, მისი მართვის გზებისა და მოსალოდნელი პროგნოზის შესახებ საუბარია.

რჩევა ცხოვრების ჯანხადი წესის, ვარჯიშის, სტრესის შემცირების თაობაზე–ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც თქვენ დედასა და ბავშვს შეგიძლიათ მისცეთ.

თქვენ მოგიწევთ დეტალურად განუმარტოთ დედას, რომ ბავშვს შემდგომი გამოკვლევების ჩატარება არ სჭირდება და არც რაიმე მედიკამენტის მიღებაა საჭირო. ჩვეულებრივ, ეს ყველაზე რთული პროცესია და ექიმს დედის დასარწმუნებლად დიდი ძალისხმევა უწევს.

### პროგლემა №7

26 წლის პირველმშობიარე, რომელსაც შშობიარობიდან თოხი დღის შემდეგ დაწყო შიშის შეგრძნება და განუვითარდა დეპრესიის სიმპტომები

პრობლემის (პოსტნატალური დეპრესია და შფოთვა) განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

1. ყველა ექიმი, მ. შ. ოჯახის ექიმებიც უნდა იცნობდეს ორსულობაზე ნორმალურ ემთცოურ პასუხს და შეეძლოს ნორმის მდგომარეობიდან ნებისმიერი გადახრის გამოცნობა;
2. პოსტნატალური დეპრესია ან შფოთვა უარყოფითად აისახება, არა მხოლოდ, დედის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე, არამედ ბავშვის ზრდა–განვითარებასა და მთელი ოჯახის კეთილდღეობასა და ნორმალურ ფუნქციონირებაზე;
3. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სინამდვილეში დეპრესია განიხილება, როგორც დააგადება, რომელიც აუცილებლად ფსიქიატრის მიერ უნდა იქნას დაგნოსტირებული და ნამწურნალევი. სამწუხაროდ, პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებულ ექიმებს (უბის თერაპევტები/პედიატრები/ოჯახის ექიმები) არა აქვთ სათანადო ცოდნა და ჩვევები იმისათვის, რომ დასვან დეპრესიის დიაგნოზი, ამის გამო მსუბუქი და შესაძლოა საშუალო სიმძიმის დეპრესიაც კა,

შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში გამოუცნობი და შედეგად, არანამკურნალევი რჩება. ამ მხრივ გამონაკლისს არც პოსტნატალური დეპრესია წარმოადგენს. თუკი გავითვალისწინებთ ამ პათოლოგიის დროული იდენტიფიკაციისა და მკურნალობის მნიშვნელობას, უდავო, რომ ოჯახის ექიმებს (დიდია იმის აღბათობა, რომ პაციენტმა პოსტნატალური დეპრესიით სწორედ მათ მიმართოს და არა ფსიქიატრს) უნდა შეეძლოთ ამ პრობლემის დიაგნოსტირება, მისი სიმძიმისა და პროცესში ფსიქიატრის ჩართვის აუცილებლობის ხარისხის შეფასება და იცნობდნენ მისი მკურნალობის მეთოდებს;

ქვემოთ წარმოდგენილი კლინიკური პრობლემა და მის გარშემო დასმული შეკითხვები დაგეხმარებათ სწორი წარმოდგენა შეიქმნათ პოსტნატალური დეპრესიის დიფერენციული დიაგნოსტიკისა და მართვის პრინციპების თაობაზე.

**26** წლის პირველმშობიარემ, ორსულობის თრმოცი კვირის ვადაზე გააჩინა ჯანმრთელი ბიჭუნა. მელოდიის მდგომარეობა მშობიარობიდან მეოთხე დღემდე სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. მაგრამ ამ დროიდან მას განუვითარდა დაღლილობა, უძილობა, დარღისა და დეპრესიის განცდა.

პაციენტს აქვს წარსულში ბიპოლარული აფექტური აშლილობის ანამნეზი, თუმცა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მას ჰიპომანიის ან დეპრესიის ეპიზოდები არ ჰქონია. თქვენ საკმაოდ შეგაშფოთათ ასეთი ანამნეზის შეტყობამ, მაგრამ მშობიარობის მერვე დღიდან ქალის მდგომარეობა თანდათან გამოხტორდა და თრ კვირაში აღარ შეინიშნებოდა ფსიქიკური დარღვევის არავითარი ნიშანი.

ქალს მდგომარეობა საკმაოდ კარგი იყოს მშობიარობიდან ექვსი კვირის შემდეგ, როდესაც მან ჩვილოთან ერთად თფისში მოვართათ.

**1.რა დიაგნოზია ყველაზე საგარაუდო ამ შემთხვევაში?**

- ა) პოსტნატალური დეპრესია (*Postpartum depression*)
- ბ) პოსტნატალური უგუნებობა (*Postpartum blues*)
- გ) მსუბუქი დეპრესია, რაც უდავოდ დაკავშირებულია წარსულში ბიპოლარული აფექტის ეპიზოდებთან
- დ) პოსტნატალური შფოთვა
- ე) მშობიარობის შემდგომი ნორმალური რეაქცია

●  
**1.(ბ)**

**2.რომელია შერჩევის პირველი რიგის მკურნალობა ამ შემთხვევაში?**

- ა) ტრიციკლური ანტიდეპრესანტები
- ბ) ლითიუმის კარბონატი
- გ) მონოამინოჟინიფაზის ინჰიბიტორები
- დ) სელექციური სერტონინის უკუშებოჭვის ინჰიბიტორები
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი

●  
**(ე)**

**3. კონკრეტულ შემთხვევაში, ითვალისწინებოთ რა ანამნეზში ბიპოლარული აფექტური აშლილობის არსებობას, ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან რომელია მართებული?**

- ა) ბიპოლარული აფექტური აშლილობის რეციდივის შანსი მშობიარობის შემდგომ პერიოდში, არაორსულებოთან შედარებით მაღალი არ არის;
- ბ) ბიპოლარული აფექტური აშლილობის რეციდივის შანსი პოსტნატალურ პერიოდში მცირდება
- გ) ბიპოლარული აფექტური აშლილობის რეციდივის შანსი პოსტნატალურ პერიოდში იზრდება

- დ) არც ერთი ჩამოთვლილი  
ე) ამის შესახებ განსაზღვრული და დამტკიცებული მონაცემები არ არსებობს

(გ)

პრობლემაში აღწერილია პოსტნატალური უგუნებობის შემთხვევა. ეს მდგომარეობა მელოდიუმით 50–80% -ს აღენიშნება. პოსტნატალური უგუნებობის სინდრომი გარდამავალია. იგი რამოდენიმე დღიდან თუ კვირამდე გრძელდება და სპონტანურად გაივლის.

პოსტნატალური უგუნებობა, ჩვეულებრივ, მშობიარობის მქამე ან მეოთხე დღეს ტირილის ხანმოკლე ეპიზოდებით მანიფესტირდება. დეპრესიული განწყობის პიკი მეხუთედან მეათე დღის შუალედში მიიღწევა. შესაძლოა უგუნებობას თან ახლდეს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: ნერვიულობა, თაფის ტკივილი, კონცენტრაციის უნარის გაუარესება, კონფუზია. ზოგჯერ, პირიქით შეიძლება გამოხატული იყოს არაბუნებრივი აღტაცება (ეიფორიამდეც კი).

პოსტნატალური უგუნებობის ეტიოლოგია უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი შესაძლოა ჰიპომონული ძვრები იყოს. ფიქრობენ, რომ პოსტნატალური უგუნებობის სინდრომი პროგრესტერონის დეფიციტითაა გამოწვეული.

შერჩევის მკურნალობა პოსტნატალური უგუნებობის შემთხვევაში მხარდამჭერი ფსიქოთერაპია: ოჯახის (განსაკუთრებით მეუღლის) მხარდაჭერა, გაგება და თბილი დამოკიდებულება, პაციენტის განათლება (დაარწმუნეთ პაციენტი, რომ ეს აბსოლიტურად ნორმალური მდგომარეობაა)–ეს ის ზომებია, რომელთა საშუალებითაც წარმატებით ხერხდება ამ პრობლემის მოვარება. აღწერილი შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაარწმუნოთ პაციენტი, რომ

- არაფერია საერთო წარსულში ფსიქიკური დარღვევის არსებობასა და მის ამჟამინდელ მდგომარეობას შორის;
- ეს „უგუნებობა“ რამოდენიმე დღეში (თუ კვირაში) თავისთავად გაიგლის;
- თუმცა სასურველია დედის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა–დედისა და ჩვილის ჯანმრთელობის დაცვა

პაციენტებში ბიპოლარული აფექტური აშლილობის ანამნეზით რეციდივის შანსი მაღალია პოსტნატალურ პერიოდში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ხშირად რეციდივი ფსიქოზის ფაზასთანაა ასოცირებული, რაც სხვა შემთხვევებში არ აღინიშნება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოსტნატალური უგუნებობა ქალების 50–80% -ს აღენიშნება, ამათგან ჭეშმარიტი მშობიარობის შემდგომი დეპრესია მხოლოდ მცირე ნაწილს (10% -ს ან ნაკლებს) უვითარდება.

4. 28 წლის პირველმშობიარეს, თრსულობის 39 კვირის ვადაზე შეეძინა ჯანმრთელი გოგონა. მელოდიის მდგომარეობა მშობიარობის შემდგომ მეოთხე დღემდე დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ამ დროისათვის ქალს განუვითარდა შემდეგი სიმპტომები: ტირილი, სასოწარგვეთა, დანაშაულის შეგრძნება, უმაღობა, დეპრესია, უძილობა და შიში, რომ ძალა არ შესწევს მოუაროს ჩვილს. ასეთი განწყობა საქმარე განახობდებოდა და როდესაც თქვენ პაციენტი მშობიარობიდან სამი კვირის შემდეგ ნახეთ, იგი ძალიან ცუდად გამოიყენებოდა.

რა არის ყველაზე საფარაუდო დიაგნოზი ამ შემთხვევაში?

- პოსტნატალური დეპრესია
- პოსტნატალური უგუნებობა
- ადაპტაციის მწვავე რეაქცია
- ადოეული ბიპოლარული აფექტური აშლილობა
- არც ერთი ჩამოთვლილი

(ა)

5. ორ არის შერჩევის მკურნალობა მეოთხე შეკითხვაში აღწერილი პაციენტისათვის?
- ა) ტრიციკლური ანტიდეპერსანტები
  - ბ) მონოამინოქსიდაზები ინჰიბიტორები
  - გ) სელექციური სეროტონინის უპუშებოჭვის ინჰიბიტორები
  - დ) მხარდამჭერი ფსიქოთერაპია
  - ე) ა და დ

●  
(გ)

ამ პაციენტს პოსტნატალური დეპრესია აქვს. ეს პათოლოგია, როგორც უპყევ ზემოთ იყო აღნიშნული, მშობიარობის შემდეგ ქალების 10%-ს უფითარდება. პოსტნატალური დეპრესიის შემთხვევაში, პოსტნატალური უგუნებობისაგან განსხვავებით, დეპრესიული განწყობა საკმაოდ ხანგრძლივად ნარჩენდება და, ხშირად, ორ კვირაზე ბევრად დიდხანს გრძელდება. პოსტნატალური დეპრესია შემდეგი ძირითადი სიმპტომებით ხასიათდება:

- ხასიათის გაუარესება
- პაციენტი სერიოზულად მიიჩნებ, რომ უნარი არ შესწევს მოუაროს ჩვილს
- დანაშაულის შეგრძნება, რომელიც დაავადების პროგრესირებასთან ერთად შეაფრიდება  
სხვა სიმპტომები, რომელიც პოსტნატალურ დეპრესიას ახლავს თან შემდეგია:
- ტირილი
- სასოწავლებელი
- დედა დარღობს, რომ ბავშვი ისე არ უყვარს, “როგორც საჭიროა”
- დედა დარღობს, რომ ბავშვის, „რაღაცას ცუდად უკეთებს“
- გადაჭარბებული ნერვიულობა ბავშვის კვების გამო
- გადაჭარბებული ნერვიულობა ბავშვის ძილის გამო
- გადაჭარბებული ნერვიულობა უფროსი და-ძმის ეჭვიანობის გამო
- ჰიპოქონდრიალური სიმპტომები
- ითლად გაღიზიანებადობა
- კონცენტრაციის გაუარესება
- მეხსიერების გაუარესება
- ძლიერი დაღლილობის შეგრძნება

კონკრეტული ეტიოლოგიური ფატქორი დადგენილი არ არის, მაგრამ პოსტნატალური დეპრესია განიხილება, როგორც მულტიფაქტორული დაავადება. პოსტნატანური დეპრესიის გენეზის შესახებ არსებობს რამოდენიმე თეორია:

1. პორმონული დეფიციტის თეორია: პოსტნატალური დეპრესიის აღმოცენება უკავშირდება პროგენეტიკონის ნაკლებობას;
2. დეპრესიის თანხური ანამნეზი
3. მშობიარობით გამოწვეული სტერიი
4. შემგრძნება, რომ მშობიარემ „დაკარგა კონტროლი“ მსობიარობის პროცესზე( ასეთ რამ ხდება ეპიდერალური ანესთეზიის ან საკეისრო კვეთის შემთხვევაში, ასევე მაშინაც, რომედასც მშობიარე ცუდად არის ინფორმირებული მოსალოდნელი პროცესის თაობაზე თოსულობის პერიოდშიგე)
5. დედის წინასწარგანწყობა, რაზედაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ქალის ბავშვობის დროინდელმა გამოცდილებამ (აღზრდის თავისებურებები და ა.შ)
6. პარტნიორთან ღრმა და ახლო დამოკიდებულების არ არსებობა
7. მამის პასუხისმგებლობის ხარისხი-ანუ რამდენად აქტიურად მონაწილეობდა იგი თოსულობისა და მშობიარობის პროცესში

8. ცხოვრებისეული სტერსული მოვლენების ზეგავლენა; ოჯახური კრიზისი, ჭირისუფლობა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ფინანსური პრობლემები, სხვა შვილებზე ზრუნვის აუცილებლობა
- შერჩევის მკურნალობა პოსტნატალური დეპრესიის შემთხვევაში მხარდამჭერი ფსიქოთერაპიასა და ტრაციკლური ანტიდეპრესიული საშუალებების კომბინაციაა. პოსტნატალური დეპრესიის მართვის საუკეთესო გზა ამ პროცესში ჯანდაცვის პროფესიონალების, სათემო სამსახურების, პაციენტის ოჯახისა და მეგობრების ერთდროული მონაწილეობაა. ეფექტურია ასევე ჯგუფური ფსიქოთერაპია-აქ პაციენტებს საკუთარი გამოცდილების ურთიერთობაზიარების საშუალება ეძღვევათ, რაც მათ მდგომარეობაზე დადგებითად აისახება.
6. 29 წლის პირველმშობიარე მშობიარობიდან მეოთხე დღეს დილის 4 საათზე ხმამაღლა მღეროდა პიმის თავის პალატაში. მომდევნო 24 საათის მანძილზე ქალმა სამშობიარო სახლში ენით აუწერებლი არეულობა შექმნა. იგი შედიოდა სხვა მელოგინეთა პალატებში და სთხოვდა მათ მასთან ერთად გაერთიენებულიყვნენ „განსაკუთრებული ბიოენერგეტიკული ენერგიის ადამიანების კავშირში“. პაციენტი უარს ამბობდა საკვებზე და წყალზე, რადგან მიაჩნდა, რომ „კოსმიური გონი მას განსაკუთრებული ენერგიით ამარავებდა“. ფსიქიტრის დანახვაზე პაციენტი ფანჯრიდან გადახტა. საბედნიეროდ, პალატა პირველ სართულზე მდებარეობდა და ეს შემთხვევა მხოლოდ მცირედი ნაკაწრებით დახრულდა. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან რომელია მართებული ამ პაციენტთან მიმართებაში?
- ა) პაციენტს აღენიშნება პოსტნატალური ფსიქოზი
  - ბ) საფარაუდოა, შიზოფრენია
  - გ) ყველაზე საგარაუდოა, რომ ამ პაციენტს ბიბოლარულ აფექტური აშლილობის ანამნეზი აქვს
  - დ) ა და გ
  - ე) ბ და გ
- 
- (დ)
7. რა უდიდესი რისკის წინაშე იმყოფება ეს პაციენტი?
- ა) სუიციდი
  - ბ) ჩვილის მკვდელობა
  - გ) ჰომიციდი
  - დ) მეტად-ნაკლებად მყარი პარანიდული მდგომარეობის ჩამოყალიბება
  - ე) ა და ბ
- 
- (ე)
8. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია შერჩევის მკურნალობა ამ პაციენტისათვის?
- ა) ინტენსიური მეთვალყურეობა
  - ბ) ლითოუმის კარბონატი
  - გ) საწყის ფაზაში ნეიროლეპტიური საშუალებები
  - დ) სელექციური სეროტონინის უგუშებოჭვის ინჰიბიტორები
  - ე) ყველა ზემოაღნიშნული
- 
- (ვ)
- სახეზეა პოსტნატალური ფსიქოზი. ეს პათოლოგია ყოველ 1000 მშობიარეზე 1-დან 2-მდე შემთხვევაში აღინიშნება. პოსტნატალური ფსიქოზი შესაძლოა გამოვლინდეს შიზოფრენიული ან აფექტური აშლილობის ან კონფუზიური მდგომარეობის სახით.

ბაციენტს ჰიპომანიის ეპიზოდი აღენიშნება. საგარაუდოა, რომ ქალს ანამნეზში ჰქონოდა ბიპოლარული აფექტური აშლილობა, დიდი დეპრესიის ეპიზოდი ან ბიპოლარული აფექტური აშლილობის ოჯახური ანამნეზი.

ჰიპომანიის მკურნალობა, მწვავე (გადაუდებელი) და შემანარჩუნებელი თერაპიის ეტაპებად იყოფა. გადაუდებელი მკურნალობა ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებას გულისხმობს. პირველი არჩევის პრეპარატებს მიეკუთვნება ჰალოპერიდოლი, ჸლორპრომაზინი ან თიორიდაზინი. გარდა ამისა, ბაციენტი ინტენსიურ მეთვალყურეობას საჭიროებს. ბოსტნატალური ფსიქოზით შეცყრობილი ბაციენტი სუციდისა და ჩვილის მკვლელობის რისკის წინაშე იმყოფება. ერთ-ერთი გავლევის მონაცემებით ბოსტნატალური ფსიქოზის დროს პაციენტების 5% -ს ჰქონდათ სიუციდი, ხოლო 4% -მა ჩვილი მოკლა.

ფსიქოზის ეპიზოდის მოგვარების შემდგომ საჭიროა ხანგრძლივი შემანარჩუნებელი თერაპია, რაც შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს:

- ა) მანის საწინააღმდეგო მედიკამენტი: ლითოუმის კარბონატი
- ბ) ანტიდეპრესიული საშუალებები: უპირატესობა ენიჭებათ სელექტიური სეროტონინის უკუშებოჭვის ინჰიბიტორებს, ვინაიდან მათი პერედოზირების შემთხვევაში დაბალია თვით-დაზიანების პოტენციური რისკი. მათ ნაცვლად, პაციენტზე მკაცრი მეთვალყურეობით, შესაძლებელია ტრიციკლიური ანტიდეპრესანტების გამოყენება
- გ) მხარდამჭერი ინდივიდუალური ფსიქოთერაპია
- დ) ოჯახური ფსიქოთერაპია
- ე) თემის ფსიქიატრიული ექითნის რეგულარული ვიზიტების პაციენტის ბინაზე: გარემო პირობების, ადაპტაციური და სხვა მოხალითობის პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღეკვატური მართვის მიზნით
9. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან უფროს ბავშვებზე დედის დეპრესიის ზემოქმედებასთან დაკავშირებით რომელია მართებული?

  - ა) ქცევითი პრობლემები უფრო ხშირი ბავშვებში, რომელთა დედას ბოსტნატალური დეპრესია აღინიშნებოდა
  - ბ) მნიშვნელოვანი შემეცნებითი დეფიციტი აღინიშნება ბავშვები, რომელთა დედებს დეპრესიის ეპიზოდი მშობიარობის შემდგომ პირველ წელს ჰქონდათ
  - გ) არსებობს სერიოზული ურთიერთკავშირი ბავშვებში კითხვის სირთულებსა და დედის დეპრესიას შორის
  - დ) მართებულია ყველა ჩამოთვლილი
  - ე) არ არის მართებული არც ერთი ჩამოთვლილი



(დ)

ბოსტნატალური დეპრესიის შედეგები მნიშვნელოვანად სცილდება შშობიარობის შედეგომ პერიოდს და სერიოზულად აისახება უფროს ბავშვებზეც. ქცევითი პრობლემები, შემეცნებითი დეფიციტი და კითხვის სირთულეები, ეს ის მაგალითებია, რაც დედის დეპრესიის (მ.შ. ბოსტნატალური დეპრესიის) გამო მოზრდილ ბავშვებში შეიძლება გამოვლინდეს. ასეთ დროს ოჯახში ახალი ბავშვის დაბადება მისი მოზრდილი და-ძმისათვის “სერიოზული ცხოვრებისეული სტრესია”.

10. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი ბოსტნატალური დეპრესიის განვითარებისათვის?

- ა) დეპრესიის ანამნეზი
- ბ) ბიპოლარული აფექტური აშლილობის ანამნეზი
- გ) შშობიარობის შემდგომ პერიოდში სისხლში პროგესტერონის დონის დაცემა ჩვეულებრივზე მეტად
- დ) უახლოეს პერიოდში ცხოვრებისეული სტრესი

## ე) დედის ბაგშვილისდროინდელი გამოცდილება

(დ)

ყველა სხვა ფაქტორს შორის, პოსტნატალური დეპრესიის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი მიმდინარე პერიოდში ცნოვრებისეული სტრესია.

### საპილი დისტანციალი

ხასიათის პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკება და სათანადო მკურნალობა აუცილებელია მისი მიმდინარეობის ხანგრძლივობისა და სიმძიმის შესამციონებლად. ჩამოიყალიბეთ სპეციფიკური რეკომენდაციები იმს თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ამოცანის განხორციელება.

#### მიმღებები

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები დაგენერირებათ თავიდან აიცილოთ ან, თუკი ეს შეუძლებელია, წარმატებით მართოთ პოსტნატალურ პერიოდში აღმოცენებული დეპრესია:

1. როგორმე მიაღწიათ იმას, რომ პრენატალურ ვიზიტებს თრსულის მეუღლე ან პარტნიორი ესტრებოდეს;
2. ესუბრეთ წყვილს თრსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანაში მოსალოდნელ ფსიქოლოგიურ ძრებსა და ხასიათის შესაძლო ცვალებადობაზე;
3. გამოიყენეთ სპეციალურად ამ თემაზე შემუშავებული საგანმანათლებლო მასალები პაციენტებისათვის;
4. ხაზია გაუსვით პოტენციური მამის როლს თრსულობის, მშობიარობისა და შემდეგ ლოგინობის ხანაში, როგორც დედის, ასევე ჩვილის მოვლის თვალსაზრისით;
5. ისაუბრეთ წყვილთა ბაგშვის დაბადების ფილოსოფიაზე. მთაგარია მათ გაიგონ, რომ ეს აბსოლიტურად ნორმალური მოვლენაა და არა აგადმყოფობა;
6. განუმარტეთ თრსულს რა სახის გამოკვლევები და მეთვალყურეობა უნდა ჩაუტარდეს მას და რატომ;
7. ისაუბრეთ თრსულთა ხშირ ჩივილებზე (უმნიშვნელო შეშუბება, გულმარგა, ბუასილი და ა.შ), რომელთა უმრავლესობა, უბრალოდ, ფიზიოლოგიური პროცესების შედეგია და ამდენად, მკურნალობას არ საჭიროებს;
8. მიეცით წყვილს დეტალური ინსტრუქცია იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში მოგმართონ თქვენ დაუყოვნებლად და რა დროს მიმართონ საავადმყოფოს;
9. ქარგი იქნება, თუკი პაციენტს მშობიარობის დაწყების მაჟწყებელი პირველი ნიშნების გამოჩენის შემდეგ ინახულებთ და რამოდენიმე სიტყვით შეახსენებთ თქვენს წინანდელ საუბრებს;
10. აუხსენით მშობიარეს (ვიდრე მას ჯერ კიდევ შეუძლა თქვენი ახსნა-განმარტების აღქმა) რისთვის არის საჭირო ესა თუ ის ჩარევა მაგ. სანაყოფე ბუშტის ხელოვნურად დარღვევა და ა.შ.
11. ყოველმხრივ ეცადეთ გაამნევოთ და დაამშვიდოთ მშობიარე;
12. შეაფასეთ პაციენტის მდგომარეობა მაშინვე, მშობიარობის შემდეგ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ანამნეზში ბიპოლარული აფექტური აშლილობის არსებობას, დეპრესიისა და სხვა სერიოზული ფსიქიკური დაავადების ოჯახურ ანამნეზს, ასევე პაციენტებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ სერიოზული ცნოვრებისეული სტერი გადაიტანეს.

#### რეზუმე

##### 1.პოსტნატალური უგუნებობა:

ა) ავადობა: 50-80%

ბ) მიმდინარეობა: იწყება მშობიარობიდან მესამე დღეს და გაიგლის თო კვირაში გმკურნალობა: დამშვიდება, მხარდამჭერი ფსიქოთერაპია, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მეუღლის აქტიურ თანადგომას

**2.პოსტნატალური დეპრესია;**

- ა) აფადობა: 10%
  - ბ) მიმდინარეობა: იწყება მშობიარობიდან მესამედან მეხუთე დღემდე და გრძელდება თრ კვირაზე უფრო დიდხანს
  - გ) მკურნალობა: ფსიქოთერაპია და ფარმაკოლოგიური ანტიდეპრესიული მკურნალობა
- 3. პოსტნატალური ფსიქოზი:**
- ა) აფადობა: 0,1-0,2%
  - ბ) მკურნალობა: გადაუდებელი: ნეიროლეპტიური მედიკამენტები, თვით-ზიანისა და ჩვილის დაზიანების პრევენციის მიზნით ინტენსიური მეთვალყურეობა;  
შემანარჩუნებელი:
1. ლითოუმის კარბონატი
  2. ანტიდეპრესანტები: სელექციური სეროტონინის უპუშებოჭვის ინჰიბიტორები; ტრიციკლური ანტიდეპრესანტები;
  3. ფსიქოთერაპია: მხარდამჭერი, ჯგუფური, ინდივიდუალური, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მეუღლის თანადგომას

**4. პრევენცია:**

- ა) პაციენტის განათლება პრენატალურ პერიოდში: ეს უნდა მოიცავდეს ორსულობისა და მშობიარობის ფსიქოლოგიური ზეგავლენის განხილვას და ახალშობილის შესაძლო ზემოქმედებას თვალშეკრიბულებულის; მაგრამ უნდა იყოს უსაკრიტიკული და უსამართლოვანი მოვლენა;
- ბ) მშობიარობის პროცესში ყველა შესაძლო ჩარევის თაობაზე სრული ინფორმაციის მიწოდება, რაც მშობიარეს “კონტროლის შენარჩუნების” განცდას უქმნის;
- გ. არსებითი მნიშვნელობა აქვს პროცესში მეუღლის ან პარტნიორის მონაწილეობას.